-------	-----	---------------	-----	-----	-----

ინგლისი. II დივიზიონი. 1-ლი ტური
11 აგვისტო

19.00	050	ბლექჰული-რედინგი	2,8	3,1	2,3
19.00	051	კემბრიჯი-ბრაიტონი	2,3	3,1	2,8
19.00	052	კარდიფი-უიკომბი	1,9	3,2	3,5
19.00	053	ნესტერფილდი-კოლჩესტერი	2,0	3,1	3,4
19.00	054	პადერსფილდი-ბორნმუთი	1,75	3,3	3,8
19.00	055	ნორთჰემპტონი-ბრისტოლი	2,4	3,0	2,7
19.00	056	პორტ ველი-ნორტხი	2,1	3,1	3,2
19.00	057	ქუინს პარკი-სტოკი	2,0	3,2	3,3
19.00	058	სუინდონი-პიტერბრო	2,0	3,1	3,4
19.00	059	ტრანმერი-ბერი	1,7	3,2	4,4
19.00	060	უიგანი-ბრენტფორდი	1,6	3,3	5,3
19.00	061	რექსემი-ოლდემი	1,7	3,2	4,4

ინგლისი. III დივიზიონი. 1-ლი ტური
11 აგვისტო

19.00	062	როვერსი-ტორკი	1,5	3,5	6,0
19.00	063	კარლაილი-ლუტონი	2,7	3,0	2,4
19.00	064	ნელტენემი-ლუიტონი	2,0	3,2	3,3
19.00	065	უესტერი-პალი	2,5	3,2	2,4
19.00	066	პარტლჰული-მენსფილდი	1,65	3,2	5,0
19.00	067	კიდერმინსტერი-სკანთორპი	2,1	3,1	3,2

19.00	068	ლინკოლნი-ჰალიფაქსი	1,7	3,3	4,2
19.00	069	მაკლსფილდი-სუონსი	2,3	3,1	2,8
19.00	070	ოქსფორდი-როსდეილი	2,0	3,2	3,3
19.00	071	პლიმუთი-შრიუსბერი	1,7	3,3	4,2
19.00	072	საუთენდი-დარლინგტონი	1,7	3,4	4,0
19.00	073	იორკი-რაშდენი	1,7	3,4	4,0

საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-3 ტური
11 აგვისტო

20.15	074	რენი-მონაკო	2,3	3,0	2,9
23.00	075	ტრუა-ნანტი	2,4	2,9	2,8
23.00	076	სედანი-გენგამი	1,75	2,9	4,7
23.00	077	პსუ-სოშო	1,5	3,4	6,5
23.00	078	მონპელიე-მეცი	2,0	2,9	3,6
23.00	079	ლანსი-მარსელი	2,1	2,9	3,4
23.00	080	ბორდო-ლილი	1,65	3,0	5,6

12 აგვისტო

21.00	081	ლორიანი-ოსერი	2,3	2,9	3,0
23.45	082	ბასტია-ლიონი	2,4	2,9	2,8

საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-3 ტური
10 აგვისტო

24.00	083	ლუ ავრი-ნანსი	1,85	2,9	4,2
-------	-----	---------------	------	-----	-----

11 აგვისტო

23.00	265	ვასკალი-კრეტეი	2,1	2,8	3,5
23.00	084	მარტიგო-ბოვე	2,2	2,8	3,3
23.00	085	სენტ-ეტენი-ლუ მანი	1,5	3,4	6,5
23.00	086	ნიცა-ნიმი	1,95	2,9	3,8
23.00	087	ლაგალი-ნიორი	1,95	2,9	3,8
23.00	088	ისტრი-სტრასბური	3,1	2,8	2,3
23.00	089	გენიონი-შატორუ	2,0	2,8	3,8
23.00	090	ამიენი-გრენობლი	1,95	2,8	4,0
23.00	091	აიანო-კაენი	1,75	2,9	4,7

პორტუგალია. I ლიგა. 1-ლი ტური
10 აგვისტო

01.00	092	ბოავისტა-ბეირა მარი	1,25	5,0	9,0
093	ბოავისტა-ბეირა მარი 0:1	1,7	3,2	3,2	

11 აგვისტო

22.30	094	ბრაგა-ლეირია	1,65	3,1	5,3
01.00	095	ვარზიმი-ბენფიკა	3,8	3,2	1,8

12 აგვისტო

20.00	096	სალგეირუში-ფარენსე	1,85	2,9	4,2
21.00	097	ფერეირა-ბელენსეში	2,2	2,9	3,2
23.00	098	სპორტინგი-პორტუ	2,4	2,9	2,8
01.00	099	გიმარაუში-ჟილ ვისენტე	1,7	3,1	4,7

13 აგვისტო

01.00	100	მარიტიმუ-სეტუბალი	1,5	3,4	6,5
-------	-----	-------------------	-----	-----	-----

პორტუგალია. II ლიგა. 1-ლი ტური
11 აგვისტო

01.00	101	შავეში-ოლივეირენსე	1,65	3,2	5,0
-------	-----	--------------------	------	-----	-----

12 აგვისტო

20.00	102	რიუ ავე-მაია	1,95	3,0	3,6
20.00	103	ამადორა ლეკა	1,6	3,4	5,0
20.00	104	ნასიონალი-ნავალი	1,8	3,0	4,2
21.00	105	ავეში-ოვარენსე	1,7	3,2	4,4
21.00	106	ესპინიუ-მარტიმონენსე	1,75	3,1	4,2
21.00	107	ლამაში-კამოშაიორენსე	2,5	3,0	2,5
01.00	108	აკადემიკა-პენაფიელი	2,0	3,0	3,5

ბელგია. I დივიზიონი. 1-ლი ტური
11 აგვისტო

23.00	110	ანდერლექტი-ანტვერპენი	1,25	5,0	9,0
111	ანდერლექტი-ანტვერპენი 0:1	1,7	3,2	3,2	
23.00	112	გენკი-ბევერენი	1,6	3,4	5,0
23.00	113	ლიერსი-ლოკერენი	2,0	3,2	3,3
23.00	114	გენტი-სენტ ტრუიდენი	1,4	3,8	7,0
23.00	115	ლომელი-მოლენბეკი	1,7	3,3	4,2

12 აგვისტო

18.00	118	ბრიუგე-ვესტერლო	1,35	4,0	7,5
119	ბრიუგე-ვესტერლო 0:1	1,9	3,2	2,6	
18.00	120	აალსტი-მუსკრონი	2,5	3,0	2,5
18.00	116	ბეერსხოტი-ლუვეი	1,4	3,8	7,0
23.00	117	შარლერუა-სტანდარდი	2,6	3,1	2,4

ჩეხეთი. მე-3 ტური
10 აგვისტო

19.30	121	სპარტა-ლიბერეცი	1,3	4,4	8,0
122	სპარტა-ლიბერეცი 0:1	1,8	3,3	2,8	

11 აგვისტო

21.30	123	სლაგია-პრადეც კრალოვე	1,1	6,0	12,0
124	სლაგია-პრადეც კრალოვე 0:1	1,35	3,8	4,0	

12 აგვისტო

19.30	125	ბანიკი-იბლონეცი	1,8	3,1	4,0
19.30	126	ტეპლიცე-დრნოვიცე	1,8	3,1	4,0
19.30	127	ბრნო-ჟიჟკოვი	2,2	3,1	3,0
19.30	128	ბოჰემიანსი-სიგმა	2,4	3,0	2,7
19.30	129	სინოტი-პრუჰოვრაში	2,2	3,1	3,0
19.30	130	ბლშანი-ოპავა	1,6	3,4	5,0

პოლონეთი. მე-4 ტური. A ჯგუფი
10 აგვისტო

22.00	131	კატოვიცე-ზაგლებე	2,4	2,9	2,8
-------	-----	------------------	-----	-----	-----

11 აგვისტო

20.00	132	ოდრა-ვიძევი	1,8	3,1	4,0
20.15	133	გურნიკი-ვისლა	3,5	3,1	1,95

12 აგვისტო


19.30	134	ოსტროვეცი-პოლონია	3,1	3,0	2,2
-------	-----	-------------------	-----	-----	-----

პოლონეთი. მე-4 ტური. B ჯგუფი
11 აგვისტო

20.30	135	რადომსკო-რუხი	2,5	3,0	2,5
-------	-----	---------------	-----	-----	-----

12 აგვისტო

20.00	136	სტომილი-პოგონი	2,5	3,0	2,5
20.00	137	ლეგია-გროცლინი	1,4	3,8	7,0
20.00	138	ლეგია-გროცლინი 0:1	1,9	3,3	2,4
20.00	139	შლიონსკი-ამიცა	2,4	3,0	2,7



თურქეთი. 1-ლი ტური			
22.00	140	ბეშქითაში-ტრაბზონი	1,7 3,2 4,4
10 აგვისტო			
19.00	141	გიონთუფე-ბურსა	2,2 3,0 3,1
21.00	142	გენლერბირლიგი-დიარბაქი	1,5 3,6 5,6
21.00	143	ფენერბაჰჩე-სამსუნი	1,3 4,4 8,0
21.00	144	ფენერბაჰჩე-სამსუნი 0:1	1,8 3,3 2,8
21.00	145	რიზე-ქოჯაელი	1,8 3,2 3,8
12 აგვისტო			
19.00	146	ისტანბული-მალათია	1,5 3,6 5,6
21.00	147	ანთალია-ანკარაგიუჯიუ	2,4 3,0 2,7
21.00	148	დენიზლი-იოზგათი	1,9 3,1 3,6
21.00	149	გაზიანთუფე-გალათასარი	2,7 3,0 2,4
შოტლანდია. პრემიერლიგა. მე-3 ტური			
11 აგვისტო			
19.00	150	სენტ ჯონსტონი-დანდი იუნ.	2,4 3,1 2,6
19.00	151	სელტიკი-პართსი	1,25 4,4 8,0
19.00	152	სელტიკი-პართსი 0:1	1,8 3,3 2,8
19.00	153	დანდი-ლივინგსტონი	1,7 3,2 4,2
19.00	154	ჰიბერნიანი-აბერდინი	1,55 3,5 5,3
21.35	155	დანფერმლინი-რეინჯერსი	4,2 3,4 1,65
12 აგვისტო			
19.00	156	მოხერუელი-კელმარნოკი	2,6 3,1 2,4
შოტლანდია. I დივიზიონი. მე-2 ტური			
11 აგვისტო			
19.00	157	არბრო-ეირდრი	2,1 3,3 3,0
19.00	158	ეირი-როსი	1,5 3,6 5,6
19.00	159	ინვერნესი-ფალკირკი	2,1 3,3 3,0
19.00	160	რეითი-პარტიკი	2,3 3,3 2,6
19.00	161	სენტ მირენი-კლაიდი	1,5 3,6 5,6
შოტლანდია. II დივიზიონი. მე-2 ტური			
11 აგვისტო			
19.00	162	ალლა-მორტონი	1,8 3,3 3,6
19.00	163	კლაიდბენკი-პამილტონი	2,2 3,3 2,7
19.00	164	კოულდენბითი-ბერუიკი	2,5 3,2 2,4
19.00	165	ქუინი-ფორფარი	1,9 3,2 3,5
19.00	166	სტენჰაუსმური-სტრანრარი	2,8 3,3 2,2
შოტლანდია. III დივიზიონი. მე-2 ტური			
11 აგვისტო			
19.00	167	ალბონი-სტირლინგი	2,6 3,3 2,3
19.00	168	ბრეინი-ისტ ფაიფი	1,7 3,4 4,0
19.00	169	ისტ სტირლინგი-მონროუზი	2,5 3,2 2,4
19.00	170	პიტერჰედი-დამბარტონი	2,5 3,2 2,4
19.00	171	ქუინს პარკი-ილჯინი	1,65 3,6 4,4
ავსტრია. მე-7 ტური			
11 აგვისტო			
20.15	172	ტიროლი-რიდი	1,45 3,6 6,5
22.00	173	ზალცბურგი-კერენტენი	1,7 3,1 4,7
22.30	174	ადმირა-შტურმი	4,7 3,5 1,6
12 აგვისტო			
13.30	176	გრაძერი-ბრეგენცი	1,3 4,4 8,0
177	გრაძერი-ბრეგენცი 0:1	1,8 3,3 2,8	
19.30	175	აუსტრია-რაპიდი	2,5 3,0 2,5
შვეიცარია. A ჯგუფი. მე-7 ტური			
11 აგვისტო			
20.15	178	ბაზელი-იანგ ბოსი	2,1 3,1 3,2
20.30	179	სერვეტი-გრასჰოპერი	2,5 3,0 2,5
22.30	180	ლოზანა-აარაუ	2,0 3,1 3,4
22.30	181	სიონი-ლუცერნი	1,45 3,6 6,5
22.30	182	ციურიხი-ქსამაქსი	1,6 3,3 5,3
12 აგვისტო			
19.15	183	სენტ გალენი-ლუგანო	2,0 3,1 3,4
შვეიცარია. B ჯგუფი. მე-7 ტური			
10 აგვისტო			
22.30	184	ბელინცონა-თუნი	2,0 3,2 3,3
11 აგვისტო			
20.30	185	ბადენი-კარუი	1,85 3,0 4,0
20.30	186	ვინტერთური-ვილი	2,0 3,0 3,5
22.30	187	კრინსი-დელემონი	2,3 3,0 2,9
22.30	188	ივერდონი-კონკორდია	1,9 3,1 3,6
12 აგვისტო			
19.15	189	ვადუცი-ლოკარნო	1,6 3,5 4,7
დანია. მე-4 ტური			
12 აგვისტო			
18.00	190	აკადემისკი-ვიბორგი	2,1 3,1 3,2
18.00	191	ლიუნგბიუ-ბრონდბიუ	3,2 3,1 2,1
18.00	192	ვაილე-სილკეპორგი	2,7 3,2 2,3
18.00	193	ორჰუსი-მიდტიულანდი	2,3 3,1 2,6
20.00	194	ოდენსე-ოლბორგი	2,1 3,2 3,1
20.05	195	ესბიერგი-კოპენჰაგენი	3,5 3,3 1,85
რუსეთი. 21-ე ტური			
11 აგვისტო			
16.00	196	ცსკა-როსტსელმაში	1,35 3,8 7,0
16.00	197	როტორი-ზილ	1,6 3,4 5,0
16.00	198	სპარტაკი-სატურნი	1,3 4,0 7,5
16.00	199	ჩერნომორეცი-ფაკელი	2,2 3,0 2,9
16.00	200	სოკოლი-დინამო	1,9 3,0 3,8
16.00	201	ზენიტი-კრილია	1,75 3,1 4,2
16.00	202	ლოკომოტივი-ტორპედო	2,0 3,1 3,4
16.00	203	ანჟი-ალანია	1,7 3,2 4,0
შვედეთი. მე-17 ტური			
12 აგვისტო			
20.00	206	მალმიო-ტრელეპორგი	1,4 3,8 6,0
207	მალმიო-ტრელეპორგი 0:1	2,0 3,2 2,2	
20.00	208	იორებრო-ნორნიოპინგი	2,1 3,0 3,3
20.00	209	იორგრიტე-ჰალმსტადი	2,2 3,0 3,1
22.00	210	აიკ-ჰელსინგბორგი	1,95 3,1 3,5
23.15	211	ელფსბორგი-სუნდსვალი	1,65 3,3 4,7

ნორვეგია. მე-18 ტური			
12 აგვისტო			
21.00	212	ბრინი-მოდლე	3,3 3,3 1,95
21.00	213	ლინი-ლილესტრომი	3,2 3,1 2,1
21.00	214	მოსი-ბოდო გლიმტი	2,1 3,2 3,1
21.00	215	ოდ გრენლანდი-სტაბეკი	2,4 3,2 2,5
21.00	216	სოგნდალი-ბრანი	3,4 3,2 1,95
21.00	217	სტრომგოდსტეტი-ვიკინგი	3,5 3,2 1,9
23.05	218	ტრომსიო-რუსენბორგი	3,3 3,3 1,55
ფინეთი			
12 აგვისტო			
18.00	220	ჰაკა-ტამპერე	2,0 3,0 3,3
20.30	221	ჰიკი-ჰეიკი	2,0 3,0 2,2
20.30	222	ჯაზი-ლაპტი	2,4 3,0 2,4
20.30	223	კუოპიო-იოკერიტი	2,0 3,0 3,2
20.30	224	ვაასა-ინტერი	2,5 3,2 2,4
ინგლისი. სუპერთასი (კარდიფში)			
12 აგვისტო			
18.00	225	მანჩესტერი-ლივერპული	2,1 3,1 3,2
იტალია. თასის I ეტაპი			
12 აგვისტო			
21.00	226	ასკოლი-კომო	2,4 2,8 2,9
23.00	227	კოზენცა-ვენეცია	2,6 2,9 2,5
23.30	228	პალერმო-ლივორნო	1,7 3,0 5,0
23.30	229	ნაპოლი-სიენა	1,5 3,3 7,0
23.30	230	მოდენა-ლუმეცანე	1,55 3,2 6,5
23.30	231	სამპდორია-ჩიტადელა	1,4 3,5 7,0
23.30	232	კროტონე-ვიჩენცა	2,6 2,8 2,6
23.30	233	ემპოლი-ანკონა	1,65 3,0 5,6
23.45	234	ტრევიზო-ბარი	3,1 3,0 2,1
23.45	235	არეცო-ჯენოა	2,7 2,7 2,6
23.45	236	რეჯინა-კალიარი	1,7 3,0 5,0
23.45	237	მონცა-აველინო	2,0 2,9 3,6
23.45	238	პესკარა-მესინა	2,4 2,8 2,9
23.45	239	პრატო-ტერნანა	3,2 2,9 2,1
23.45	240	სალერნიტანა-კატანია	1,55 3,1 6,0
24.00	241	პისტოიეზე-კიევი	2,9 2,8 2,4
პოლანდია. სუპერთასი			
12 აგვისტო			
17.30	242	პსევტჰენტე	1,5 3,8 5,3
ტურში გატანილი გოლები			
11 აგვისტო			
18.30	701	გერმანია (მე-3)	24 და ნაკლები - 1,9;
11 აგვისტო			
20.15	702	საფრანგეთი (მე-3)	22 და ნაკლები - 1,9;
11 აგვისტო			
23.00	704	ბელგია (1-ლი)	26 და ნაკლები - 1,9;
10 აგვისტო			
19.30	705	ჩეხეთი (მე-3)	19 და ნაკლები - 1,9;
10 აგვისტო			
20.00	706	პოლონეთი (მე-4)	19 და ნაკლები - 1,9;
10 აგვისტო			
22.00	707	თურქეთი (1-ლი)	23 და ნაკლები - 1,9;
11 აგვისტო			
16.00	708	რუსეთი (21-ე)	18 და ნაკლები - 1,9;
20 და მეტი - 1,9			

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაახუსტეთ

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
 №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
 გლდანი, |სავაჭრო ცენტრი;
 ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
 გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
 ნერეთლის გამზირი №11;
 ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
 ფალიაშვილის ქუჩა №27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთაველი — შარტავას ქუჩა №7

ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
 ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
 ჯავახიშვილის ქუჩა №78;
 ჭავჭავაძის ქუჩა №113,
 ფიროსმანის ქუჩა №7^ა


ძოგულეთში — აღმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

გურჯაანში — დავით გურამიშვილის ქუჩა №28

1 ავვისტოლან ჩროჩო
ხუთაბათობითაც მუშაობს. დასვენების დღე
გხოლოდ ორშაბათი იქნება.
საუბრო დღეებია: საგზაბათი, ოთხშაბათი,
ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, ჯვირა

დღე გერმანული, დღე კენიური დიდმა ჰაილემ სირცხვილი ჭაბა და მარათონი დაივიწყა



ჰაილე გებრესილასიმე ჩარლზ კამატი (№675)
გამარჯვება გულლიად და ვიქტორიულად მიულოცა

კენიის პოლიციის ოფიცერმა ჩარლზ კამატიმ გუშინ, ჩვენი დროით სისხამ დილით 8-წლიან ისტორიას ბოლო მოუღო. ეს ამბავი ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა და დღის მთავარი მოვლენა გახლდათ. ვაჟთა 10-ათასმეტრიანი გარბენის სტარტზე კარგ ადამიანად ცნობილი ჰაილე გებრესილასიმეს გამოჩენა ტაშისკვრით აღნიშნეს. ოთხგზის მსოფლიოს და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ედმონტონში მკაფიო პროგრამით ჩასულიყო: მსოფლიოს მეხუთე ტიტული და დაუყოვნებლივ მარათონზე გადადგო, სადაც მრავალი საპრიზო თანხები მუდამ იზიდავდა საპენსიო ასაკის სტაიერებს, თუმცა მარათონის კარგად რბენა რომ პენსიონერის საქმე არაა, თავად მოგესხენებათ.

სილასის რამდენიმე საშინო კონკურენტი ეგულებოდა, ძირითადად კენიელები, თვისტოში ეთიოპიელები და ორიოდ ესპანელიც, თორემ გზის მეთაურის ამოწურვისას ბურუნდელმა ალოიზ ნიზიგამამ რომ დაკრა ფეხი და გავარდა, გებრესილასიმეს აინუნში არ ჩაუვდია, იცოდა, წინ მორბენალ კვიცებს რაც ელით. მეოთხე კილომეტრზე უეცრად კენიელები ამუშავდნენ. ჯონ ჩერიოტ კორიბმა და ჩარლზ კამატიმ ტემპს უმატეს და რადგან ორის ერთად წინ გაშვება არაფრით ეგებოდა, ჯგუფიც მათ მიჰყვა. თავდაპირველი ნელი რობოლა მოძღვენო 200-300 მეტრის მანძილზე მაღალ ტემპში გაგრძელდა, მერე კი კენიელებმა დაამუხრუჭეს და ჯგუფი ტრასის შუაწელამდე ეთიოპიელი ასეფა მეზებებს ხელმძღვანელობით მი-

ვიდა, რომელსაც სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატისა და სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორად ვიცნობთ. გავიდა სულ ცოტა ხანიც და ახლა მესამე კენიელმა, პოლ კოსგემ მოუჩქარა, რითაც კენიელთა ტაქტიკური მოსაზრება გამოიკვეთა: ტემპის კონტროლით ისინი გებრესილასიმეს და მათა მისთა დაქანცვას ცდილობდნენ, რათა ფინიშზე ეთიოპიელებს თავიანთი განთქმული სპრინტი რაც შეიძლება ცუდად გამოსვლოდათ. კოსგეის უშუალოდ მხოლოდ მეზებზე, კამატი და გებრესილასიმე მიჰყვნენ, ხოლო ერთი კილომეტრის შემდეგ მათ ზურგიდან გამოვლიდა გამოქცეული ესპანელი ფაბიან რონსეროც შეუერთდა სწორედ მაშინ, როცა ლიდერებმა უკანასკნელად დაავადეს ტემპი, სული მოითქვეს და ბოლო ბრძოლაც დაიწყეს.

მოწინავე გუნდის სიჩქარე კილომეტრიდან კილომეტრამდე მატულობდა. ფინიშამდე წრენახვერით (600 მ) ადრე კამატი და გებრესილასიმე მხარდამხარ ლიდერობდნენ, მაგრამ კენიელმა კოსგემ აქ ერთხელაც იშვირა ფეხი და დაწინაურდა. კოსგეი წინ იყო მაშინაც, როცა ბოლო წრის აღმნიშვნელ ზარს ჩამოკრეს, მაგრამ თითქმის მას შემდეგ ეთიოპიელებმა მას ალყა შემოარტყეს: გებრესილასიმე შიდა, ხოლო მეზებებზე გარე ბილიკებიდან გაუსწრეს. ცხადი გახდა, რომ კოსგეის ძალა გამოლეოდა, რადგან იმ ორის გარდა მას უმაღლეს გაუსწრეს ეთიოპიელმავე იბეტალ ადმასუმ და კამატიმ, მოგვიანებით ორმა ესპანელმაც და კარგი სტაიერის სახელით ცნობილი კოსგეი საბოლოოდ მე-7 ადგილს დასჯერდა, თავში კი გადამწვევტი დრამა იწყებოდა. გებრესილასიმეს სპრინტამდე ცოტა ხნით ადრე შეუტია კამატიმ, იოლად გაუსწრო ადმასუმს და ფინიშამდე 150 მეტრით ადრე ეთიოპიელები მიხვდნენ, რომ ისტორია არ განმეორდებოდა — ქალებით პოლიუმს ისინი ვერ შეაგსებდნენ. მეტიც, კამატის ვეფხვისებური ნახტომების ფონზე (ბოლო 200 მეტრზე 24,7 წამი დახარჯა) გებრესილასიმეს სიჩქარე სრულიად უკმარისი ჩანდა და დიდ ეთიოპიელს კენიელმა პირველმა გაუსწრო. მეტი ძალა შერჩენოდა მეზებებს, რომელმაც კენიელის მიყოლა მოახერხა, მაგრამ არა უშედეგო, კამატი მეზებებზე ნახევარი წამით ადრე მივიდა ფინიშთან და გებრესილასიმეს კი წამნახევარამდე მოუგო. ეს ჰაილე გებრესილასიმეს პირველი მარცხი გახლდათ 8 წლის მანძილზე და ეთიოპიელ სტაიერზე არანა-



მარტინ ბუსმა სიმაღლეზე რჩეული მტომელები შშრალზე დატოვა

კლებ შეწუხდნენ ლონდონის მარათონის ორგანიზატორები, რომლებიც ედმონტონში იყვნენ და იქნებ კონტრაქტიც ჰქონდათ გამზადებული ყველაზე ცნობილი სტაიერის ხელში ჩასაგდებად.

რობლის დასრულებისთანავე გებრესილასიმე ფირფიტა შეაბრუნა. ჯერ თავის ჩავარდაზე თქვა.

„შეშმარიტად კარგ ფორმაში ვიყავი — ირწმუნება ეთიოპიელი — არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ბოლო 100 მეტრი საშინლად ვირბინე და შოკირებული ვარ. ნელ-ჩქარი რობოლა გამოვიდა, რასაც არ ველოდი და არც იმას, რომ კენიელები ასე სწრაფად ირბინდნენ. რაღაც ვერ გავთვალე“ — ანუ გებრესილასიმე დაადასტურა, რომ კენიელებმა ბრწყინვალედ იაზროვნეს ტაქტიკურად და ამის ხარჯზე გაიმარჯვა სწორედ კამატიმ.

მერე კი გებრესილასიმე განაგრძო: „დღევანდელი წაგების შემდეგ ვთვლი, რომ მარათონებზე რბენის უფლება არ მაქვს, ჯერჯერობით მაინც“.

„დღეს თქვენი ბოლო 10 ათასი იყო?“

„კითხვა ერთმა უურნალისტმა.“

„არა მგონია“ — მიუგო ჰაილემ და ცხადზე ცხადი ხდება, რომ ეთიოპიელს სერგეი ბუბკას ლანდი დასტრიალებს, რომელიც ექვსჯგუზის მსოფლიოს ჩემპიონია. ახალი ტიტულები სწყურია ჰაილესაც და იგი, ალბათ, 2 წლის შემდეგ პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ირბენს 10 ათას მეტრს. ეს ნიშნავს, რომ ლონდონის მარათონზე ჯერ მაინც არ შედგება დიდი დაპირისპირება გებრესილასიმესა და კენიელ პოლ ტერგატს შორის, რომელიც კროსში 5-გზის ჩემპიონია, მაგრამ 10 ათას მეტრზე ეთიოპიელს მუდამ ენაგვირბნებოდა და იქ დაუგროვდა მსოფლიოს ჩემპიონატების 4 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი. სიდნეის ოლიმპიადამდე ტერგატი გებრესილასიმეს 0,09 (!) წამით ჩამორჩა, გამწარებულმა 10 ათასზე მაშინ ჩაიქინა ხელი საბოლოოდ და მარათონს მიაშურა.

ედმონტონში გამარჯვებული ჩარლზ კამატი ფაღბ თავმდაბლობას არ მოჰყოლია. „რა უნდა იყოს სტაიერის ცხოვრებაში უფრო საამაყო, ვიდრე გებრესილასიმეს დამარცხება — თქვა მან — მაგრამ აქ რომ ჩამოვყდი, ვიცოდი — ოქროს მოგება შემიძლო“.

სულ ეს იყო 10-ათასმეტრიანი დრამატული რბენის ამბავი, ჩვენ კი დაკუბრუნდით ბუბკას, რომლის 6 საჩემპიონო ტიტულს ოთხშაბათს ყველაზე მეტად დაუახლოვდა გერმანელი მებადროე ლარს რიდელი. იგი ამიერიდან ხუთჯგუზის მსოფლიოს ჩემპიონია და პარიზში მეექვსე ტიტულზე ფიქრობს. ედმონტონში რიდელმა ლიტველა ვარგილიუს ალეკანს უმძიმესი წინააღმდეგობა გატეხა.

სხვებსაც ჰქონდათ პირველობის პრეტენზია: ამერიკელ ადამ სეტლიფს, ბელარუს ვასილი კაბტოუსს, სამხრეთაფრიკელ ფრანც კრიუგერსა და მასპინძელ ჯეისონ ტიუნკსს, მაგრამ ამათგან 68 მეტრს ვერც ერთმა გადააცი-


ლა, ხოლო ჯონ გოდინა ბირთვის კვრაში გაჩემპიონების შემდეგ ბადროს ტვირცნის ფინალში საერთოდ ვერ მოხვდა.

მესამე ცდაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალექსანდრე ბუტჩინმა, მაგრამ რიდელმა დაუყოვნებლივ უპასუხა 69,50-ით და დაწინაურდა, შემდეგ კი კიდევ უფრო გაამყარა უპირატესობა, როცა ბადრო 69,72 მეტრზე გადააგდო და ჩემპიონი გახდა. ალექსანდრე რიდელი დარჩა, არადა, ბოლო ორი წლის მანძილზე 70 მეტრისთვის ბადრო მხოლოდ მას ერას გადაუცილებია.

სიმაღლეზე ხტომა ვერ მოიგო ხაკივი სოტომიორმა, ვერც ვიანესლავ ვორონინმა, ვისაც საბატიო 2,40 მეტრი ეკუთვნის, ვერც ოლიმპიურმა ჩემპიონმა სერგეი კლუგანამა და ვერც წლევე ანდელი ტურნირების ფინალმა შეეძმა ბიჭებმა (სტეფან პოლში და სტეფან სტრანდი). შშრალზე ღარსნენ ძლიერი მასპინძლებიც: მარც ბოსკელი მე-8 ადგილზე გავიდა, კვაკუ ბოატენგი — მე-9-ზე, გაიმარჯვა კი გერმანელმა მარტინ ბუსმა და 8 აგვისტო ედმონტონში გერმანულ დღედ აქცია, თუმცა დღის გმირობაზე პრეტენზია კენიელებსაც ექნებოდათ. კამატის გარდა რუბენ კოსგემ სტაბილური მთავრ და ამაში არაფერია გასაკვირი. უფრო ის გვაოცებს, სამივე საპრიზო ადგილი კენიას რომ არ დარჩა. საქმე ისაა, რომ რეიმიონდ იატორი ბოლო თარჯის გამოიღო და მის წინ დაგუბებულ ტლაპოში ჩავარდა. ამით მაროკოელმა ალი უხინმა ისარგებლა და კენიელს ვერცხლის მედალი წაართვა.

დავით გულუს

მე-8 ადგილი				
სიმაღლეზე ხტომა				
1. მარტინ ბუსა (გერმანია)	2,36			
2. ვიანესლავ ვორონინი (რუსეთი)	2,33			
3. იაროსლავ რიბაკოვი (რუსეთი)	2,33			
3000 მ. სტიპლჩეიზი				
1. რუბენ კოსგეი (კენია)	815,16			
2. ალი ეზინი (მაროკო)	816,21			
3. ბერნარდ ბარმასი (კენია)	816,59			
ბადრო				
1. ლარს რიდელი (გერმანია)	69,72			
2. ვირგილიუს ალექანა (ლიტვა)	69,40			
3. მიხაელ მოლენბეკი (გერმანია)	67,61			
10 ათასი მ.				
1. ჩარლზ კამატი (კენია)	27.53,25			
2. ასეფა მეზებუ (ეთიოპია)	27.53,97			
3. ჰაილე გებრესილასიმე (ეთიოპია)	27.54,41			
ძალაში				
400 მ. თარჯიბენი				
1. ნეფა ბიდუნან (მაროკო)	53,34			
2. თულია ნოსოფა (რუსეთი)	54,27			
3. დიმიტრი პერნი (კუბა)	54,61			
ძვირანაბნა მონაბარი				
	ო	გ	ბ	სულ
1. აშშ	3	3	2	8
2. რუსეთი	2	7	4	13
3. ეთიოპია	2	2	2	6
4. გერმანია	2	2	1	5
5. კენია	2	2	1	5



ლარს რიდელი მეხუთედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი

ოზური ომი: ვოლანტი კანგურუსებს აღკრობენ

ბალიან დაიბადა სიტუაცია ავსტრალიის 15-კაცა რაგბის კავშირსა და ორგანიზაციას შორის, რომელიც 13-კაცა რაგბის განაგებს. მოთამაშეთა „ქურდობა“, კომუნიკებით ერთმანეთის ლანძვრა, კალენდრების შეცვლა... ამ ორ ორგანიზაციას შორის ცივი ომს დიდი ხნის ისტორია აქვს. ავსტრალიის ეროვნული რაგბის ლიგა შექმნილია დაუპირისპირდა სამოყვარულო კავშირს, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, სადაც კი ღარიბმა მოთამაშეებმა რაგბიში ფულის აღება დაიწყეს. ამ დღეებში კი ეს ცივი ომი დიდი კონფლიქტში გადაიზარდა, რაც სანზარის საბჭოს გადაწყვეტილებებმა გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ სანზარში ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკისა და ახალი ზელანდიის 15-კაცა რაგბის ფედერაციები არიან გაერთიანებული.

ამ „ჭკვიანებმა“, როგორც მათ ზოგიერთი ავსტრალიური გაზეთი მოიხსენიებს, სამი ერის ჩემპიონატის ხანგრძლივობა რვიდან ექვს კვირამდე შემცირეს და თან 2003 წლიდან მატჩები ახლანდელი ივლის-აგვისტოს ნაცვლად სექტემბერ-ოქტომბრისთვის დაგეგმეს. თითქოს განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ სანზარის ცხიერ ნაბიჯს მამინვე მიხედვით, როცა გაიგებთ, რომ წლის ამ დროს ავსტრალიაში ლიგის რაგბისა და ავსტრალიური ბურთობის (ოვალური ბურთით თამაში, რომელიც მარტო მწვანე კონ-

ტინენტზე არსებობს) ჩემპიონატების ფინალები იმართება-ხოლმე. ზე 12-ზე ორი გუნდის დამატებითაც, რომელთაგან ერთი ოზებისა იქნება, რაგბის მამებმა ძალიან მტკივნეული დარტყმა მიიყენეს ლიგას. გუნდის ჩამოსაყალიბებლად ძალიან ძლიერი მორაგებები საჭირო, რომელთა გაზრდას დიდი დრო სჭირდება. თუმცა არსებობს მეორე გზაც — მორაგებების კონკურენტი სახეობისთვის წავგრა. სავარაუდოდ, სწორედ ასე მოიქცევა ის გუნდი, რომელიც ალბათ პერტში დაფუძნდება. ეს შეთქმული არახალია. რამდენიმე თვის წინ „კენგურუების“ (ავსტრალიელთა ლიგის რაგბის ნაკრების მეტსახელია) ორმა ფრთამ, ვენდელ სეილორმა და მეტ როჯერსმა ჩვეულებრივ რაგბიში გადასვლის შესახებ განაცხადეს. 2000 წლის მსოფლიოს ჩემპიონები შესაბამისად ბრისბენისა და სიდნეის ღირსებას დაიცავენ ზე 12-ში. „ალატში“ ისინი 200 ათასიდან 350 ათასამდე დოლარს მიიღებენ.



ვენდელ სეილორმა ლიგის რაგბის მსოფლიოს თასის ფინალში ახალზელანდიელები დააღლეოვა

ეს იყო და, ლიგის რამდენიმე კლუბმა მამინვე სთხოვა თავის ფედერაციას ზღვრული ხელფასის გაუქმება, რათა კიდევ უფრო მეტი მორაგბის გადაბირება შესძლებოდათ პირუკუ, ლიგისკენ. „ეს ფინანსური სიგაფეა. მხოლოდ სამი-ოთხი მდიდარი კლუბი თუ ნახავს მოგებას“ — ვითომ ძალიან ედარდებოდეს კონკურენტებისა, ასე განუცხადა ჟურნალისტებს რაგბის კავშირის თავკაცმა ჯონ ონილმა. პასუხმაც არ დაყოვნა და ლიგის ხელმძღვანელმა დევიდ მოფეტმა კავშირელებს „ორპირები“ უწოდა.

ფინანსური თვალსაზრისით 13-კაცელებს გამარჯვების შანსი, ფაქტობრივად, არ აქვთ. ზე 12-ის კლუბებს, რადგან ისინი თითოეულ სახელმწიფოში ცოტანი არიან, სპონსორთა და მყურებელთა მიზიდვა ამ ტურნირზე გაცილებით უადვილებათ და ეს ყველას ესმის. თუმცა ომი ომია და დანებება არავის სურს, რადგან ეს თავისთავად თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება.

ლომე არ ითვლის, ლომე თაგაუოხს

„**პიდე** 10 ტესტის ჩატარებაზე არც კი ვფიქრობ. 50 კვირის მოხვედრას მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, მთავარი გამარჯვებაა. ახალ ზელანდიაში ნამდვილად ასეა. მხოლოდ თამაშზე ვარ ხოლმე კონცენტრირებული და სულ მოგებისკენ ვისწრაფვი. დანარჩენზე ჩემი მენეჯერი ფილ კინგსლი-ჯონსი იმტკიცებს თავს. მისი საზრუნავია, ვისთან დავლო კონტრაქტი და რამდენი მოვიტოვო. როცა რამე კონკრეტულს შემოთავაზებენ, საზოგადოებასაც ვამცნობ-ხოლმე“ — თქვა ახლახან ჯონა ლომემ, რომელიც ზეალ ახალი ზელანდიის შავ მისურას 50-ედ მორიგებს ტესტში.

ახალი ზელანდია ოდენ მეოთხეობას დასჯერდა. იქიდან მოყოლებული „შავების“ სათამაშო ტაქტიკა შეიცვალა. მეტევის გასაგრძელებლად აუცილებელი აღარ არის ლომეს მოძებნა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ოლ ბლექსის“ ფრთა დასუსტდა. მას ისევ შეუძლია, რამდენჯერმე მარტო გასცდეს არაერთ მეტოქეს და მატჩის ბედი გადაწყვიტოს. ასეთი რამ შეიძლება ზეალაც მოხდეს ავსტრალიასთან, ლომეს საიუბილეო ტესტში.

26 წლის და ნაკრებში 34 ლელოს გამტანი ლომე ალბათ კიდევ დიდხანს თამცემს შიშის ზარს „შავების“ მოწინააღმდეგეებს, თუ, რა თქმა უნდა, 13-კაცა ლიგამ არ გადაიბირა. ახალ ზელანდიის რაგბის კავშირთან მთაკაცს კონტრაქტი ნოემბერში უთავდება და ჯერჯერობით უცნობია მკა ახალი ზელანდიელების ამბები.


50 კვირა არადა, თავისი კარიერის დასაწყისში იგი ოდენ ათჯერ აპირებდა შავი მისურის ჩაცმას. პირველად 1994 წელს გამოჩნდა „ოლ ბლექსის“ რიგებში, როცა ლიგას უგანა. თუმცა მისით მაშინ არაფერ აღტაცებულა. დაცვაში არცთუ გაუვალელი იყო, თავდასხმაში კარგად ვერ ერთვებოდა და ბევრმა იფიქრა, მისი ხაზზე თამაში სისულელეა, ლიგას უნდა დაუბრუნდეს.

თუმცა მისი კლუბის ხელმძღვანელობამ მალე იპოვა გამოსავალი და პატარა სარაგბო რეკოლუციაც მოახდინა. თურმე ჯონა ფრთაზე იყო დასაყენებული და არა შერკინების მესამე ხაზში.

196 სმ სიმაღლე, 119 კგ წონა, 100 მეტრი 10,8 წამში. ამ მონაცემების კაცს მანამდე არასოდეს უთამაშია სამშეოთხედულად. ეს აღმოჩენა იყო!

1995 წლის მსოფლიოს თასზე ლომემ პირველად დაიჭეკა. სამხრეთ აფრიკაში მან მარტომ გაანადგურა მიელი ბრიტანეთი — ჯგუფში ირლანდია და უელსი, მეორედფინალში შოტლანდია და ნახევარფინალში ინგლისი. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მთავარი ბურთის ლომემდე მიტანა იყო და მერე ლელო გარდაუვალი ჩანდა. თუმცა „ქურციკებმა“ მთაკაცის გაუგებრება შეძლეს და მსოფლიოს თასაც დაუფლანგნენ.

ოთხი წლის შემდეგ უელსში (და სხვა ხუთერეგებში) გამართულ მსოფლიოს თასზე ლომემ ისევ გაიბრწყინა, რაც უფრო მოულოდნელი იყო. მანამდე მას თირკმელების ხანგრძლივად მკურნალობა დასჭირდა და შეიძლება, რაგბი საერთოდაც ვეღარ ეთამაშა. 7 ლელო 6 მატჩში, მაგრამ



ზეალ ჯონა ლომე 50-ედ გამაგებდა



რომან სლუნდოვს ორი მსოფლიოს რეკორდი წყალში ჩაუყარეს

აბას ჟინოვიც ვერ ნახავს ელემენტარული როლი სლუნდოვისთვის

საფლონო სახეობათა ფუკუ-ოკას მსოფლიოს ჩემპიონატის ესტაფეტა ამ რამდენიმე დღის წინ ჯარისკაცებმა ჩაიბარეს. სანკტ პეტერბურგი სამხედროთა 38-ე თამაშებს მასპინძლობს. ტურნირში, რა თქმა უნდა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლებიც მონაწილეობენ და საკმაო წარმატებითაც. თქვენს ყურადღებას არც გაავამახვილებდით სამხრეებიან რუსებზე, რომ არა ერთი ფრთად მნიშვნელოვანი შედეგი. არმიის სპორტული კლუბის „დიდ წყალში“ ერთი მსოფლიოს რეკორდი დაეშო და თან არც დაეშო. ყოველ შემთხვევაში, ამაში ბოლომდე თავად მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებიც ვერ გარკვეულან. 50 მეტრზე ბრასით ცურვაში რუსმა რომან სლუნდოვმა მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა ორჯერ გააუმჯობესა. თუმცა გაუმართავმა ელექტროტექნიკამ გარჯა წყალში ჩაუყარა.

საქმე ისაა, რომ 50 მეტრი ბრასითა ფინალში ომსკულმა სლუნდოვმა ჯერ არნახული სისწრაფით გაცურა და ამერიკელ ედ მოხესის მიერ ოთხი თვის წინ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (27,39) 14 მეასედი წამით გააუმჯობესა — 27,25, მაგრამ ვინ ჩაუთვალა? ფინიშის დროს არეულმა ელექტროსისტემამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ბედის ირონია იყო თუ რა, ელექტროტაბლო ყველა მოცურავის შედეგს უჩვენებდა, სლუნდოვისა კი არსად ჩანდა. ამის გამო ორგანიზატორებს სხვა არაფერი ღარჩნიათ, გარდა ერთისა — რომანს რეკორდი არ ჩაუთვალეს, თუმცა...

მცირეოდენი სჯა-ბასის შემდეგ 21

წლის მოცურავე დაინდეს და საჯანგებო, დამატებითი, გაცურვის შანსი მისცეს. როგორი ამბავია? თითქოს მსოფლიოს რეკორდები ციდან ცვიოდეს. რუსული არმიის სიამაყე მეორეც ავიდა სასტარტო ბაქანზე. სამხრეებიანი მსოფლიოს რეკორდსმენი ისევ გადაეშვა აუზში და, როგორ გვინათ, რა მოხდა? ისევ მსოფლიოს რეკორდი — 27,36. მაგრამ ვაი, რომ ელექტროტაბლომ ისევ უგანა მოცურავს. მერე კი გაირკვა, რომ დანაშავენი მსაჯები ყოფილან. თებდას მსაჯურებს თურმე ელექტროწაშობი არასწორად მოუმართაო. „ძალიან გულნატკენი ვარ. თვეობით დაღვრილი ოფლი და მზადება წყალში ჩამყარა“ — გაწვილებულია სლუნდოვი. სხვათა შორის, ცურვის რუს მოხელებს არმიის სპორტული კლუბის საცურაო აუზის გამო პირველად როდი ხვდებათ უსიამოვნებები. ჯერ კიდევ 1994 წელს, როდესაც ასკ-ს აუზი კეთილი ნების თამაშებს მასპინძლობდა, მინაწილეთა უმეტესობამ გაცურვაზე უარი განაცხადა, რადგან წყალი ძღვრე იყო.

ისე, უნდა ითქვას, რომ სლუნდოვისთვის მსოფლიოს რეკორდი უცხო ხილი არაა. ამ ორი თვის წინ ჩატარებულ რუსეთის ჩემპიონატზე მან 100 მეტრზე იმავე დისციპლინაში პირველმა შეძლო, ერთწუთიანი ზღვარი შემცირებინა. გარდა ამისა, ახლახან დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატზე ფუკუოკაში 100 და 50 მეტრზე ბრასით შესაბამისად ოქრო და ვერცხლი მოიპოვა.

გიგა ბუასაშვილი

ალეზი ფრანსენი ჯორდან-პროსტული როში

შაში ღრუბელი შეყრილა ფორმულა 1-ის გუნდ „პროსტის“ თავზე. ის, რომ ფრანგული საჯინბო ფინანსური პრობლემების წინაშე დადგა და თვითგადარჩენისთვის დაიწყო პროსტის, არახალი ამბავია. გუნდის შევი აღენ პროსტი ახლა კრიზისიდან თავის დაღწევას ლაშობს და სპონსორების მიზიდვით არის დაკავებული. ნათქვამია, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევა. სწორედ ასე დაემართა წარსულში დიდებულ პილოტს, დღეს კი უიღბლო მენეჯერს. თითქოს ფინანსური გაჭირვება არ ეყოფოდა აღენ პროსტს, რომ მისმა თანამემამულემ და გუნდის უპირველესმა ძრობმა, ჟან ალეზიმ ორი თვის აუღებელი ხელფასი საკმარის მიზეზად ჩათვალა, რათა დიდი ხნის მეგობრობა არაღ ჩაეფლო და „პროსტზე“ გული აეცრუებინა. სად უნდა წასულიყო ალეზი? სად და „ჯორდანში“, ამბობდნენ. ეს ყველაზე სავარაუდო ვარიანტი იყო, რადგან ბოლო დროს ჟან ალეზი ხშირად სტუმრობდა „ჯორდანის“ საჯინბოს. თავის მხრივ, „ჯორდანს“ მაღალი კლასის პილოტი სჭირდებოდა. გერმანიის დიდი პრიზის წინ ხომ „ჯორდანის“ შეფმა ედი ჯორდანმა პინტ-პარალ ფრენცენი ათვალწუნა და მოულოდნელად კარისკენ მიუთითა. ის, რომ ალეზი „პროსტიდან“ წასვლას და „ჯორდანში“ გადასვლას აპირებდა, მისმა მენეჯერმა მარო მიაკავამაც დაადასტურა.


ალენ პროსტი კი ხავს ეჭვიდებოდა და ყველანაირად ცდილობდა, ალეზი დაეკავებინა. მაგრამ, როგორც ჩანს, ორმა ფრანგმა საერთო ენა ვერ გამოინახა. სამაგიეროდ, „პროსტზე“ გულაყრილ პილოტს ედი ჯორდანმა გაუგო და ალეზის თავის გუნდში გათავისუფლებული ადგილი შესთავაზა. მხარეები მალევე მორიგდნენ და სეზონის ბოლომდე შეჰფიცეს ერთმანეთს ერთგულება. ახალი გუნდით ფრთად კმაყოფილია ალეზი, სამაგიეროდ, ახალწვეული გუნზე სულ არ ეხატება ფრენცენის აწ უკვე ყოფილი დროებით შემცველი რეკორდი ზონტას, რომელმაც მხოლოდ ერთხელ მოასწრო „ჯორდანის“ ყვითელი ბოლიდის საჭესთან დაჯდომა. ფრანგის მიხედვით შემდეგ კი ზონტა ისევ მესამე, სათადარიგო პილოტის ადგილს დაუბრუნდება.

და როგორ ფიქრობთ, ვინ შეუწყვილდება „პროსტში“ ეულად დარჩენილ ბურტს? ვინ და, ივლისში „ჯორდანთან“ სკანდალურად გაგდებული ფრენცენი. აღენ პროსტის და პინტ-პარალის თანამშრომლობა სეზონის ბოლომდე გასტანს. ასე რომ, ბუდაპეშტის დიდ პრიზზე დიდ ინტრიგას უნდა ვულოდეთ. ფრენცენი ედი ჯორდანზე შერისხივას შეეცდება, რა თქმა უნდა, ტრასაზე ჟან ალეზი კი თავისი ახალი შევის ნიღობის მოპოვებას ემურება.


ბაბო სვანიძე

ახალი ფორმა

დიდი პოპულარული უეინ გრეცკი ამჟამად აღმოსავლეთში საჭმეებს მისდევს, კანადის პოპულარული ფეხბურთელი მენეჯერად გადადგმული. აქტიურად მუშაობს სოფტ ლეივ სიტისთვის კანადელ პოპულარულ ფორმის დიზაინს. ფოტოზე მას ფორმის ერთ-ერთი ვარიანტი გაუშლია, ცხადია, ნეკერჩხლის ფოთლიანი...



REUTERS კალგარიდან



REUTERS კეზიდან

კრიტიკული მომენტი

კუნძულ უაიტთან (სამხრეთ ბრიტანეთი) გრძელდება რეგატა „კაუზ ვიი“ მრავალი ლამაზი იახტის მონაწილეობით. საშვებულებო ატმოსფეროს მიუხედავად, რეგატას სიმძაფრე არ აკლია და ერთ-ერთ იახტას „ბოლარ სტარს“ მეტიმეტი მონდომებისგან გვერდზე წაქცეულს ვხედავთ.

ჰაკიმი ახალ სარკიელზე


17 წელი „პიუსტონ როიტსში“ უმწველო სამსახურის შემდეგ ჰაკიმ ოლაჯუონმა (მარჯვნივ) მშობლიური კლუბი დატოვა და „ტორონტო რეპტორსში“ გადაბარგდა, რაც ვინს კარტერს საამოდ დაურჩა. ჰაკიმ, თუნდაც ბებური, დიდი ძალაა და კარტერს შრომას შეუძსუბუქებს.



REUTERS ტორონტოდან

ზაგალოს იუბილე


70 წლის ვახდა მართ ზაგალო, ბრაზილიაში და მის გარეთ პატივცემული კაცია კარგი ბურთაობისა და უკეთესი მწვრთნელობისთვის. როგორც ფეხბურთელი, ის ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია და მისივე ხელმძღვანელობით ბრაზილიამ 1970 წელს ჩემპიონატზე მოიგო. ამიტომ „ფლაშენგოსა“ და „პარანას“ თამაშისას განთქმულ „მარაკანას“ ზაგალოს მისაგებელი მიაგეს.



REUTERS როი დე ფანეიროდან

უფლისწული და პეტიოპი

წამიც და ერთმანეთს აკოცებენ მონაკოს პრინცი ალბერი და მსოფლიოს ჩემპიონი დერარტუ ტულუ, რომელმაც ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატზე 10 ათასი მეტრი მოიგო. ალბერს მძღვეოსობა ნაყვარება.



REUTERS ედმონტონიდან

სარკიელი
საორტული გაზეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზონცხვერია
დირექტორი ბიორბი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრაიული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბუჩქაძე
ფეხბურთის რედაქტორი რედაქტორი სოსო კოჭორაძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, დავით თვართქელაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და

ინფორმაციის რედაქტორი ვიკი ახალაძე, ვიკი ასვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუსა კაციტაძე, ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე, სტილი-სტები მია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალი-შვილი, კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე ვალუტა-შვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბულაძე, სვეტა დევაძე, მადია დოგრაშვილი, კახა თაღაკაძე, ტრის-ტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომცემი ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge